24/06/2026

MES 3 26 0000791832

**ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

საბჭოს თარიღი: 23.06.2026 წ;
სხდომის დაწყების დრო: 11:00 სთ;
სხდომის დასრულების დრო: 16:02 სთ;
საბჭოს თავმჯდომარე - ეკატერინე ლეჟავა;
სხდომის მდივანი - ნინო ლაბარტყავა.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

**1. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭოს) წევრები:**

**ეკატერინე ლეჟავა** - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;
**ნატო შეროზია** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
**ნინო ლაბარტყავა** - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
**მაკა მაისურაძე** - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის სურსათით ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსო, საბჭოს წევრი;
**ნინო გიუაშვილი** - სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სახელმწიფო პროგრამის - „დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვა" გარემოს ჯანმრთელობის საკითხებში საერთაშორისო თანამშრომლობის სპეციალისტი, საბჭოს წევრი;
**რონა პერტია** - სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს წევრი;
**ნანა ათუაშვილი** - ა(ა)იპ - კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრის დირექტორი, საბჭოს წევრი.

**2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**მარი მიქაუტიძე** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
**თეა ცერცვაძე** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
**სოფიკო მიქაძე** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
**ნინო კაპანაძე** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
**თამარ ქევხიშვილი** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
**გოგა პარუნაშვილი** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
**ნინო დვალიშვილი** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
**ცირა თარალაშვილი** - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

**3. ადრეული აღზრდისა და განათლების ან/დასკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების წარმომადგენლები:**

**1) ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი):**
ზაურ კარამოვი - გაერთიანების დირექტორი;
სოსო ინაძე - დირექტორის მრჩეველი;
ედიშერ კუტალია - გაერთიანების იურისტი;
დავით რაზმაძე - კვების სპეციალისტი;
ნინო ნავერიანი - მეთოდისტი;
გიულბენ ალიევა - მეთოდისტი.
**ქალაქ მარნეულის N1 საბავშვო ბაღი:**
ზეინაბ ნადირაძე - საბავშო ბაღის მენეჯერი;
**ქალაქ მარნეულის N3 საბავშვო ბაღი:**
ქეთინო მინაძე - საბავშო ბაღის მენეჯერი;
**სოფელ საიმერლოს საბავშო ბაღი:**
ლია ბაქრაძე - საბავშო ბაღის მენეჯერი;
**სოფელ ალგეთის საბავშვო ბაღი:**
ორხან მამედოვი - საბავშვო ბაღის მენეჯერი;
**სოფელ სადახლოს საბავშვო ბაღი:**
აითან აივაზოვა - მენეჯერის მოვალეობის შემსრულებელი;
**სოფელ ყიზილაჯლოს საბავშვო ბაღი:**
ლეილა ქერიმოვა - საბავშო ბაღის მენეჯერი.

**2) ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანება:**
აკაკი ჯამბაზიშვილი - გაერთიანების მმართველის მოვალეობის შემსრულებელი;
**№19 საბავშვო ბაღი (სურამი, ჩუმათელეთის დასახლება):**

სოფიო ხვედელიძე - საბავშვო ბაღის დირექტორი;
**№10 სოფელ ცხრამუხის საბავშვო ბაღი:**
მარინა პანტელიდი - საბავშვო ბაღის დირექტორი.

**4. ადრეული აღზრდისა და განათლების ანდა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):**

**ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)** (ქალაქ მარნეულის N1 საბავშვო ბაღი):
მაკა ტუკვაძე - (ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე);
ნინო დემურაძე - (კურიკულუმის ექსპერტი, წევრი);
ბესიკ მარგველაშვილი - (კვების დარგში ექსპერტი, წევრი);
ნათია ზაზაშვილი - (სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი).

**ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)** (ქალაქ მარნეულის N3 საბავშვო ბაღი):
მაკა ტუკვაძე - (ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე);
ნინო დემურაძე - (კურიკულუმის ექსპერტი, წევრი);
ბესიკ მარგველაშვილი - (კვების დარგში ექსპერტი, წევრი);
ნათია ზაზაშვილი - (სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი).

**ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)** (სოფელ საიმერლოს საბავშვო ბაღი):
მაკა ტუკვაძე - (ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე);
ნინო დემურაძე - (კურიკულუმის ექსპერტი, წევრი);
ბესიკ მარგველაშვილი - (კვების დარგში ექსპერტი, წევრი);
ნათია ზაზაშვილი - (სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი).

**ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) (სოფელ ალგეთის საბავშვო ბაღი):**
მაკა ტუკვაძე - (ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე);
ნინო დემურაძე - (კურიკულუმის ექსპერტი, წევრი);
ბესიკ მარგველაშვილი - (კვების დარგში ექსპერტი, წევრი);
ნათია ზაზაშვილი - (სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი).

**ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)** (სოფელ სადახლოს საბავშვო ბაღი):
მაკა ტუკვაძე - (ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე);
ნინო დემურაძე - (კურიკულუმის ექსპერტი, წევრი);
ბესიკ მარგველაშვილი - (კვების დარგში ექსპერტი, წევრი);
ნათია ზაზაშვილი - (სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი).

**ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანება (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)** (სოფელ ყიზილაჯლოს საბავშვო ბაღი):
მაკა ტუკვაძე - (ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე);
ნინო დემურაძე - (კურიკულუმის ექსპერტი, წევრი);
ბესიკ მარგველაშვილი - (კვების დარგში ექსპერტი, წევრი);
ნათია ზაზაშვილი - (სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი).

**ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანება** (№19 საბავშვო ბაღი (სურამი, ჩუმათელეთის დასახლება):
მიმოზა ღოლიჯაშვილი - (ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე);
თამარ ლომიძე - (კურიკულუმის ექსპერტი, წევრი);
სალომე ბოჭორიშვილი - (კვების დარგში ექსპერტი, წევრი);
თამარ ჭონიშვილი - (სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი).

**ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანება** (№10 სოფელ ცხრამუხის საბავშვო ბაღი):
მიმოზა ღოლიჯაშვილი - (ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე);
თამარ ლომიძე - (კურიკულუმის ექსპერტი, წევრი);
სალომე ბოჭორიშვილი - (კვების დარგში ექსპერტი, წევრი);
თამარ ჭონიშვილი - (სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი).

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" (შემდგომში - დროებითი წესი) 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა. საბჭოს სხდომა 2026 წლის 23 ივნისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 11:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დროებითი წესის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება ავტორიზაციის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს აცნობა, სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დროებითი წესის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:**

1. ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) (ქალაქ მარნეულის N1 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) (ქალაქ მარნეულის N3 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) (სოფელ საიმერლოს საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

4. ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) (სოფელ ალგეთის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) (სოფელ სადახლოს საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) (სოფელ ყიზილაჯლოს საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანების (№19 საბავშვო ბაღი (სურამი, ჩუმათელეთის დასახლება) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანების (№10 სოფელ ცხრამუხის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**

- **არა**

დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე სახის შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

**პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)(ქალაქ მარნეულის N1 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა:**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომას საპატიო მიზეზის გამო ვერ ესწრებოდა საბჭოს მდივანი, თამარ ჩიკვილაძე და სხდომის მდივნის უფლებამოსილება გადასცა საბჭოს წევრს - ნინო ლაბარტყავას.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ. მან განაცხადა, რომ ქალაქ მარნეულის N1 საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 7 და 8 აპრილს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში" 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში". სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 205. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 205 ბავშვისთვის.
ექსპერტმა ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან"; მეორე და მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან".
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში, 4.4 კომპონენტთან მიმართებით მითითებულ ხარვეზებთან დაკავშირებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, ხოლო ყველა სხვა ხარვეზის აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა მეოთხე სტანდარტთან, კერძოდ კი 4.4 კომპონენტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაწერილი ხარვეზების საკითხთან მიმართებით დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლის პოზიციით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, ზაურ კარამოვმა, ავტორიზაციის საბჭოს მიმართა თხოვნით, 4.4 კომპონენტთან დაკავშირებით არგუმენტირებული პოზიცია წარედგინა ნუტრიციოლოგ გულიკო დვალს.
ნუტრიციოლოგმა, გულიკო დვალმა, წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დასკვნაში 4.4 კომპონენტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ, სთხოვა კვების დარგში ექსპერტს, ბესიკ მარგველაშვილს, წარმოედგინა მისი პოზიცია დაწესებულების სტატუსის მაძებლის მიერ გამოთქმულ პოზიციასთან დაკავშირებით.
კვების დარგის ექსპერტმა, ბესიკ მარგველაშვილმა, ისაუბრა იმ დოკუმენტების შესახებ, რომლითაც იხელმძღვანელა მენიუს შესწავლისას.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, დავით რაზმაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ ექსპერტისთვის მიწოდებულ მენიუ-ფაქტურაში ფიქსირდებოდა ტექნიკური ხარვეზი, აღნიშნული ხარვეზი დაწესებულებას უკვე აღმოფხვრილი ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ, ითხოვა დაზუსტება პროგრამის განხორციელების ენასთან დაკავშირებით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, ზაურ კარამოვმა, დააზუსტა, რომ პროგრამის განხორციელება სურთ ქართულ ენაზე. ვინაიდან მარნეულის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს მულტიკულტურულ რაიონს, სახელმწიფო ენის შესწავლა გახლავთ პრიორიტეტული საკითხი და ეთნიკური უმცირესობების წარმოამდგენლებისათვის სახელმწიფო ენის ადრეული ასაკიდანვე შესასწავლად, შტატით განსაზღვრული ჰყავთ ქართული ენის პედაგოგი.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის საკითხით და ასევე, აღმზრდელ პედაგოგების შტატის არსებობის საკითხით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, ედიშერ კუტალიამ, აღნიშნა, რომ იგი გახლდათ რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი. ხოლო რაც შეეხებოდა აღმზრდელ პედაგოგის საკითხს, დაწესებულებას არ ჰქონდა განსაზღვრული აღმზრდელ-პედაგოგის შტატი.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა მშობელთა ცნობიერების ამაღლების საკითხით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, ედიშერ კუტალიამ, აღნიშნა, რომ მშობელთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგი ,,პოზიტიური მშობლობა".

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო -** 12:30
**დასრულების დრო -** 12:40

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) (ქალაქ მარნეულის N1 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 205-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-6 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანებას (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი)(ქალაქ მარნეულის N1 საბავშვო ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 205-ით.

საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2026 წლის 23 ივნისიდან.

საბჭომ ავტორიზაციის I და IV სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 23 ივნისისა.

საბჭომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად აღნიშნა მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით შეფასების ცვლილება და მეოთხე სტანდარტის შეფასება ნაცვლად ,,არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან" შეიცვალა შეფასებით ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან"; ხოლო 4.4. კომპონენტის შეფასება ნაცვლად ,,არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან" შეიცვალა ,,შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

საბჭომ, დაწესებულებას, დამატებით რეკომენდაციად განუსაზღვრა მენიუ-ფაქტურაში არსებული ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრა და გასწორებული დოკუმენტის, ერთი თვის ვადაში, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენა.

**მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) (ქალაქ მარნეულის N3 საბავშვო ბაღი)** ავტორიზაციის საკით ხის განხილვა:

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ. მან განაცხადა, რომ ქალაქ მარნეულის N3 საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 20 და 21 აპრილს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში" 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 415. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და

დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 415 ბავშვისთვის.
ექსპერტმა ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან"; მეორე და მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან".
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში, 4.4 კომპონენტთან მიმართებით მითითებულ ხარვეზებთან დაკავშირებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, ხოლო ყველა სხვა ხარვეზის აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა მეოთხე სტანდარტთან, კერძოდ კი 4.4 კომპონენტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაწერილი ხარვეზების საკითხთან მიმართებით დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლის პოზიციით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, ზაურ კარამოვმა, ავტორიზაციის საბჭოს მიმართა თხოვნით, 4.4 კომპონენტთან დაკავშირებით არგუმენტირებული პოზიცია წარედგინა ნუტრიციოლოგ გულიკო დვალს.
ნუტრიციოლოგმა, გულიკო დვალმა, წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დასკვნაში 4.4 კომპონენტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ, სთხოვა კვების დარგში ექსპერტს, ბესიკ მარგველაშვილს, სთხოვა წარმოედგინა მისი პოზიცია დაწესებულების სტატუსის მაძებლის მიერ გამოთქმულ პოზიციასთან დაკავშირებით.
კვების დარგის ექსპერტმა, ბესიკ მარგველაშვილმა, ისაუბრა იმ დოკუმენტების შესახებ, რომლითაც იხელმძღვანელა მენიუს შესწავლისას.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, დავით რაზმაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ ექსპერტისთვის მიწოდებულ მენიუ-ფაქტურაში ფიქსირდებოდა ტექნიკური ხარვეზი, აღნიშნული ხარვეზი დაწესებულებას უკვე აღმოფხვრილი ჰქონდა.

საბჭოს წევრი, ნანა ათუაშვილი, დაინტერესდა მშობელთა ჩართულობისა და ბავშვების საბავშო ბაღიდან სკოლაში ტრანზიციის საკითხით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ დაგეგმილი აქვთ საბავშვო ბაღის ეზოს მოწყობა მშობელთა ჩართულობით. ხოლო რაც შეეხება ბავშვის საბავშო ბაღიდან სკოლაში ტრანზიციას, გათვალისწინებული აქვთ ახლომდებარე სკოლაში ვიზიტი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო** - 12:55
**დასრულების დრო** - 13:06

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) (ქალაქ მარნეულის N3 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 415-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 1

**გადაწყვეტილება:**
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-6 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანებას (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) (ქალაქ მარნეულის N3 საბავშვო ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 415-ით.
საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2026 წლის 23 ივნისიდან.

საბჭომ ავტორიზაციის II და IV სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 23 ივნისისა.

საბჭომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად აღნიშნა მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით შეფასების ცვლილება და მეოთხე სტანდარტის შეფასება ნაცვლად ,,არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან" შეიცვალა შეფასებით ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან"; ხოლო 4.4. კომპონენტის შეფასება ნაცვლად ,,არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან" შეიცვალა შეფასებით ,,შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

საბჭომ, დაწესებულებას, დამატებით რეკომენდაციად განუსაზღვრა მენიუ-ფაქტურაში არსებული ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრა და გასწორებული დოკუმენტის, ერთი თვის ვადაში, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენა.

**მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) (სოფელ საიმერლოს საბავშვო ბაღი)** ავტორიზაციის საკითხი ს განხილვა:

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ

საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ. მან განაცხადა, რომ სოფელ საიმერლოს საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 22 და 23 აპრილს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში" 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში". სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 120. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 120 ბავშვისთვის.
ექსპერტმა ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან"; მეორე და მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან".
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში, 4.4 კომპონენტთან მიმართებით მითითებულ ხარვეზებთან დაკავშირებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, ხოლო ყველა სხვა ხარვეზის აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა მეოთხე სტანდარტთან, კერძოდ კი 4.4 კომპონენტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაწერილი ხარვეზების საკითხთან მიმართებით დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლის პოზიციით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, ზაურ კარამოვმა, ავტორიზაციის საბჭოს მიმართა თხოვნით, 4.4 კომპონენტთან დაკავშირებით არგუმენტირებული პოზიცია წარედგინა ნუტრიციოლოგ გულიკო დვალს.
ნუტრიციოლოგმა, გულიკო დვალმა, წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დასკვნაში 4.4 კომპონენტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ, სთხოვა კვების დარგში ექსპერტს, ბესიკ მარგველაშვილს, წარმოედგინა მისი პოზიცია დაწესებულების სტატუსის მაძებლის მიერ გამოთქმულ პოზიციასთან დაკავშირებით.
კვების დარგის ექსპერტმა, ბესიკ მარგველაშვილმა, ისაუბრა იმ საკითხების შესახებ, რომლითაც იხელმძღვანელა მენიუს შესწავლისას.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, დავით რაზმაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ ექსპერტისთვის მიწოდებულ მენიუ-ფაქტურაში ფიქსირდებოდა ტექნიკური ხარვეზი, აღნიშნული ხარვეზი დაწესებულებას უკვე აღმოფხვრილი ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის შედგენისა და შესაბამისი რესურსების შეძენის საკითხით.
დაწესებულების სტატუსის წარმომადგენელმა, ედიშერ კუტალიამ, აღნიშნა, რომ უკვე შემუშავებული ჰქონდათ მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა და მხოლოდ დამტკიცებას საჭიროებდა. აღნიშნული ნუსხის შემუშავებამდე კი მინიმალური რესურსის გაანგარიშება ხდებოდა ოთხ ბავშვზე გათვლით.
საბჭოს წევრი, ნინო ლაბარტყავა, დაინტერესდა კურიკულუმის გაზიარების საკითხით.
ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელს შექმნილი ჰქონდა სამუშაო ჯგუფები, რომლის ფარგლებშიც პერსონალი ერთმანეთს უზიარებდა ცოდნასა და გამოცდილებებს, რაც განსაკუთრებულად აისახებოდა საგანმანათლებლო პერსონალის მიერ შექმნილ დოკუმენტაციაში. აგრეთვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა, მონაწილეობა მიიღო სოფლის მხარდაჭერის პროგრამაში, მოიპოვეს დაფინანსება და აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელდება ეზოს კეთილმოწყობა კურიკულუმის მოთხოვნების შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო** - 13:25
**დასრულების დრო** - 13:30

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) (სოფელ საიმერლოს საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 120-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის

1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-6 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანებას (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) (სოფელ საიმერლოს საბავშვო ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120-ით.
საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2026 წლის 23 ივნისიდან.

საბჭომ ავტორიზაციის II და IV სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 23 ივნისისა.

საბჭომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად აღნიშნა მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით შეფასების ცვლილება და მეოთხე სტანდარტის შეფასება ნაცვლად ,,არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან" შეიცვალა შეფასებით ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან"; ხოლო 4.4. კომპონენტის შეფასება ნაცვლად ,,არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან" შეიცვალა შეფასებით ,,შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

საბჭომ, დაწესებულებას, დამატებით რეკომენდაციად განუსაზღვრა მენიუ-ფაქტურაში არსებული ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრა და გასწორებული დოკუმენტის, ერთი თვის ვადაში, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენა.

**მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) (სოფელ ალგეთის საბავშვო ბაღი)** ავტორიზაციის საკითხის განხილვა:

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა, მაკა მაისურაძემ.
ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ. მან განაცხადა, რომ სოფელ ალგეთის საბავშვო ბაღში ავტორიზაციის

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 05 და 06 აპრილს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ბილინგვური მიდგომით განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში" 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 210. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 210 ბავშვისთვის.

ექსპერტმა ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან"; მეორე და მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან".

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში, 4.4 კომპონენტთან მიმართებით მითითებულ ხარვეზებთან დაკავშირებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, ხოლო ყველა სხვა ხარვეზის აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა მეოთხე სტანდარტთან, კერძოდ კი 4.4 კომპონენტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაწერილი ხარვეზების საკითხთან მიმართებით დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლის პოზიციით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, ზაურ კარამოვმა, ავტორიზაციის საბჭოს მიმართა თხოვნით, 4.4 კომპონენტთან მიმართებით არგუმენტირებული პოზიცია წარედგინა ნუტრიციოლოგ გულიკო დვალს.

ნუტრიციოლოგმა, გულიკო დვალმა, წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დასკვნაში 4.4 კომპონენტთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ, სთხოვა კვების დარგში ექსპერტს, ბესიკ მარგველაშვილს, წარმოედგინა მისი პოზიცია დაწესებულების სტატუსის მაძებლის მიერ გამოთქმულ პოზიციასთან დაკავშირებით.

კვების დარგის ექსპერტმა, ბესიკ მარგველაშვილმა, ისაუბრა იმ საკითხების შესახებ, რომლითაც იხელმძღვანელა მენიუს შესწავლისას.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, დავით რაზმაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ ექსპერტისთვის მიწოდებულ მენიუ-ფაქტურაში ფიქსირდებოდა ტექნიკური ხარვეზი, აღნიშნული ხარვეზი დაწესებულებას უკვე აღმოფხვრილი ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ოთხ იარუსიანი საწოლების საკითხით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებელის წარმომადგენელმა, ზაურ კარამოვმა აღნიშნა, რომ ყველა ბავშვისთვის დასვენების/დაძინების უზრუნველყოფისთვის შექმნეს ოთხ იარუსიანი საწოლები, რომლებიც ითვალისწინებს სამ იარუსიანი საწოლებისთვის დადგენილ მოთხოვნებს.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, ასევე დაინტერესდა ბილინგვური განათლების მიმართულებით არსებულ გამოწვევებისა და საჭიროებების საკითხით.

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, ლაშა ქურდაძემ, აღნიშნა, რომ რესურსების გამრავალფეროვნება და არსებული საგანმანათლებლო რესურსების ეთნიკური უმცირესობების საჭიროებებზე უფრო მეტად მორგება ხელს შეუწყობდა ბილინგვური განათლების უფრო მაღალი ხარისხით განხორციელებას.
საბჭოს წევრი, ნინო გიუაშვილი, დაინტერესდა ცენტრალიზებული წყალმომარაგების საკითხით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, განმარტა, რომ აღნიშნული ეტაპისთვის დაწესებულება არ არის უზრუნველყოფილი ცენტრალიზებული წყალმომარაგების სისტემით, თუმცა იგეგმება აღნიშნული საკითხის მოგვარება. ამ ეტაპისთვის კი ხდება წყლის შეძენა, რომელიც გამოიყენება დასალევად და საკვების მოსამზადებლად. არტეზიული ჭის წყლის გამოყენება ხდება ხელის დასაბანად, ჭურჭლის გასარეცხად და სხვ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო -** 14:05
**დასრულების დრო -** 14:15

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) (სოფელ ალგეთის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 210-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 4
წინააღმდეგი - 2

**გადაწყვეტილება:**
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-6 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანებას (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) (სოფელ ალგეთის საბავშვო ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 210-ით.
საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2026 წლის 23 ივნისიდან.

საბჭომ ავტორიზაციის II და IV სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 23 ივნისისა.

საბჭომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად აღნიშნა მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით შეფასების ცვლილება და მეოთხე სტანდარტის შეფასება ნაცვლად ,,არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან" შეიცვალა შეფასებით ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან"; ხოლო 4.4. კომპონენტის შეფასება ნაცვლად ,,არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან" შეიცვალა შეფასებით ,,შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

საბჭომ, დაწესებულებას, დამატებით რეკომენდაციად განუსაზღვრა მენიუ-ფაქტურაში არსებული ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრა და გასწორებული დოკუმენტის, ერთი თვის ვადაში, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენა.

**მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) (სოფელ სადახლოს საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა:**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ. მან განაცხადა, რომ სოფელ სადახლოს საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 17 და 18 აპრილს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ბილინგვური მიდგომით განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში" 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში". სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 150. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 150 ბავშვისთვის.
ექსპერტმა ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ

დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან"; მეორე და მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან".
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში, 4.4 კომპონენტთან მიმართებით მითითებულ ხარვეზებთან დაკავშირებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, ხოლო ყველა სხვა ხარვეზის აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა მეოთხე სტანდარტთან, კერძოდ კი 4.4 კომპონენტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაწერილი ხარვეზების საკითხთან მიმართებით დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლის პოზიციით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, ზაურ კარამოვმა, ავტორიზაციის საბჭოს მიმართა თხოვნით, 4.4 კომპონენტთან დაკავშირებით არგუმენტირებული პოზიცია წარედგინა ნუტრიციოლოგ გულიკო დვალს.
ნუტრიციოლოგმა, გულიკო დვალმა, წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დასკვნაში 4.4 კომპონენტთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ, სთხოვა კვების დარგში ექსპერტს, ბესიკ მარგველაშვილს, წარმოედგინა მისი პოზიცია დაწესებულების სტატუსის მაძებლის მიერ გამოთქმულ პოზიციასთან დაკავშირებით.
კვების დარგის ექსპერტმა, ბესიკ მარგველაშვილმა, ისაუბრა იმ საკითხების შესახებ, რომლითაც იხელმძღვანელა მენიუს შესწავლისას.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, დავით რაზმაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ ექსპერტისთვის მიწოდებულ მენიუ-ფაქტურაში ფიქსირდებოდა ტექნიკური ხარვეზი, აღნიშნული ხარვეზი დაწესებულებას უკვე აღმოფხვრილი ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი საკითხების მოგვარებით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებელის წარმომადგენელმა, აღნშნა, რომ დაწყებული აქვთ უნიტაზების მიმართულებით გაცემული რეკომენდაციების შესრულება; შენობა-ნაგებობის მადგრადობის დოკუმენტის მოსაპოვებლად მიმართეს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს; უახლოეს პერიოდში დაგეგმილი აქვთ საძინებელ ოთახებში, ბავშვისთვის ხელმისაწვდომ ადგილას, არსებული დენცქვიტების გაუქმება. აგრეთვე, კოსმეტიკური რემონტის განსახორციელებლად მიმართული აქვთ მუნიციპალიტეტის მერიისთვის.
საბჭოს წევრი, ნინო გიუაშვილი, დაინტერესდა წყალმომარაგების საკითხით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, დააზუსტა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფილია ცენტრალიზებული წყალმომარაგების სისტემით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო -** 14:30
**დასრულების დრო -** 14:36

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) (სოფელ სადახლოს საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 150-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 4
წინააღმდეგი - 2

**გადაწყვეტილება:**
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-6 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანებას (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) (სოფელ სადახლოს საბავშვო ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150-ით.
საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2026 წლის 23 ივნისიდან.

საბჭომ ავტორიზაციის II და IV სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 23 ივნისისა.

საბჭომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად აღნიშნა მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით შეფასების ცვლილება და მეოთხე სტანდარტის შეფასება ნაცვლად ,,არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან" შეიცვალა შეფასებით ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან"; ხოლო 4.4. კომპონენტის შეფასება ნაცვლად ,,არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან" შეიცვალა შეფასებით ,,შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

საბჭომ, დაწესებულებას, დამატებით რეკომენდაციად განუსაზღვრა მენიუ-ფაქტურაში არსებული ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრა და გასწორებული დოკუმენტის, ერთი თვის ვადაში, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენა.

**მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) (სოფელ ყიზილაჯლოს საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა:**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთოს ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ. მან განაცხადა, რომ სოფელ ყიზილაჯლოს საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 07 და 08 მაისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ბილინგვური მიდგომით განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში" 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში". სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 210. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 210 ბავშვისთვის.
ექსპერტმა ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ, მეორე და მესამე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან"; ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან".
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში, 4.4 კომპონენტთან მიმართებით მითითებულ ხარვეზებთან დაკავშირებით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, ხოლო ყველა სხვა ხარვეზის აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა მეოთხე სტანდარტთან, კერძოდ კი 4.4 კომპონენტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაწერილი ხარვეზების საკითხთან მიმართებით დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლის პოზიციით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, ზაურ კარამოვმა, ავტორიზაციის საბჭოს მიმართა თხოვნით, 4.4 კომპონენტთან დაკავშირებით არგუმენტირებული პოზიცია წარედგინა ნუტრიციოლოგ გულიკო დვალს.

ნუტრიციოლოგმა, გულიკო დვალმა, წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დასკვნაში 4.4 კომპონენტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ, სთხოვა კვების დარგში ექსპერტს, ბესიკ მარგველაშვილს, წარმოედგინა მისი პოზიცია დაწესებულების სტატუსის მაძებლის მიერ გამოთქმულ პოზიციასთან დაკავშირებით.
კვების დარგის ექსპერტმა, ბესიკ მარგველაშვილმა, ისაუბრა იმ საკითხების შესახებ, რომლითაც იხელმძღვანელა მენიუს შესწავლისას.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, დავით რაზმაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ ექსპერტისთვის მიწოდებულ მენიუ-ფაქტურაში ფიქსირდებოდა ტექნიკური ხარვეზი, აღნიშნული ხარვეზი დაწესებულებას უკვე აღმოფხვრილი ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობა-ნაგებობის მშენებლობის დასრულების თარიღით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებელის წარმომადგენელის განმარტებით, საბავშვო ბაღის მშენებლობა დასრულდა ორი წლის წინ.
საბჭოს წევრი, ნინო ლაბარტყავა, დაინტერესდა აღმზრდელების გადამზადების საკითხით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ ენის ბარიერის გამო, რიგ შემთხვევებში გამოწვევას წარმოადგენდა აღმზრდელების გადამზადების საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო -** 15:00
**დასრულების დრო -** 15:08

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანების (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) (სოფელ ყიზილაჯლოს საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 210-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 4
წინააღმდეგი - 2

**გადაწყვეტილება:**
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის, 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-6 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული

ბაგა-ბაღების გაერთიანებას (სკოლამდელი აღზრდის ცენტრი) (სოფელ ყიზილაჯლოს საბავშვო ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 210-ით.
საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2026 წლის 23 ივნისიდან.

საბჭომ ავტორიზაციის I, II, III, და IV სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2028 წლის 23 ივნისისა.

საბჭომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად აღნიშნა მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით შეფასების ცვლილება და მეოთხე სტანდარტის შეფასება ნაცვლად ,,არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან" შეიცვალა შეფასებით ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან"; ხოლო 4.4. კომპონენტის შეფასება ნაცვლად ,,არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან" შეიცვალა შეფასებით ,,შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

საბჭომ, დაწესებულებას, დამატებით რეკომენდაციად განუსაზღვრა მენიუ-ფაქტურაში არსებული ტექნიკური ხარვეზის აღმოფხვრა და გასწორებული დოკუმენტის, ერთი თვის ვადაში, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის წარდგენა.

**მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანების (№19 საბავშვო ბაღი (სურამი, ჩუმათელეთის დასახლება) ავტორიზაციის საკითხის განხილვა:**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მიმოზა ღოლიჯაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანებაში შემავალ№19 საბავშვო ბაღში (სურამი, ჩუმათელეთის დასახლება) ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 29 და 30 აპრილს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს

განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში" მეთოდური სახელმძღვანელო 2 დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისათვის. ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, ბავშვთა ზღვრული რაოდენობის საკითხზე და განმარტა, რომ ვიზიტის დასაწყისშივე, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლის მხრიდან აღინიშნა ტექნიკური ხერვეზის არსებობა და თვითშეფასებაში, ბავშვთა ზღვრული რაოდენობა ნაცვლად 43-სა, მითითებული უნდა იყოს 200, აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 200 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, მიმოზა ღოლიჯაშვილმა, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", მეორე და მესამე სტანდარტები შეფასდა, როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან". აქვე, ექსპერტმა აღნიშნა მეოთხე სტანდარტის 4.3 კომპონენტთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხის საბჭოს სხდომაზე დამატებითი განხილვის და დაზუსტების საჭიროების შესახებ.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებული შეუსაბამობებით.
ექსპერტმა, მიმოზა ღოლიჯაშვილმა, დამატებით განმარტა მეოთხე სტანდართან დაკავშირებით, რომ დაწესებულებას აქვს წერილობითი მიმართვა საჯარო რეესტრში უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ამონაწერის განახლების მიზნით, აზომვით ნახაზებთან დაკავშირებული ტექნიკური ხარვეზის გამო არ არის განხორციელებული საჯარო რეესტრის ამონაწერის განახლება და შესაბამისი განახლებული დოკუმენტის წარმოდგენა. ამავე სტანდარტთან დაკავშირებული მეორე საკითხი ეხება სტანდარტის შესაბამისად ფანჯრებზე ნაქსოვი ბადის ბარიერის და ბადის ჩაჭრისთვის საჭირო მოწყობილობის მონტაჟის საკითხს.
გაერთიანების მმართველის მოვალეობის შემსრულებელმა, აკაკი ჯამბაზიშვილმა განმარტა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის განახლებასთან დაკავშირებით, ხარვეზის გამოსწორების მიზნით შესაბამისი ღონისძიებები მერიის მხრიდან უკვე დაწყებულია და უახლოეს პერიოდში მოხდება ხარვეზის აღმოფხვრა. რაც შეეხება სტანდარტით გათვალისწინებული ნაქსოვი ბადეების და ბადის ჩაჭრისთვის საჭირო მოწყობილობის მონტაჟს, ერთი წლის ვადაში ეს ხარვეზიც გამოსწორდება. ასევე, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული ყველა საკითხი, შესაბამის ვადებში შესრულდება.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა ბავშვთა ზღვრული რაოდენობის და შესაბამისი საგანმანათლებლო პერსონალის რაოდენობის საკითხებით.
გაერთიანების მმართველის მოვალეობის შემსრულებელმა, აკაკი ჯამბაზიშვილმა განმარტა, რომ ავტორიზაციის განაცხადში ტექნიკური ხარვეზით იყო ასახული ბავშვთა ზღვრული რაოდენობა, №19 საბავშვო ბაღი გათვლილია 200 აღსაზრდელზე და განაცხადში ასახული უნდა ყოფილიყო აღნიშნული რაოდენობა. რაც შეეხება აღმზრდელების რაოდენობას, მიმდინარე

ეტაპზე 200 ბავშვისთვის განსაზღვრულ რაოდენობას არ შეესაბამება, მაგრამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ფარგლებში, საჭიროებებიდან გამომდინარე მოხდება კანონმდებლობით გათვალისწინებული თანაფარდობის დაცვა.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა მატერიალური რესურსების საკითხით. ექსპერტმა, მიმოზა ღოლიჯაშვილმა, მატერუალურ რესურსებთან დაკავშირებით, დამატებით განმარტა, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების ფარგლებში, ეტაპობრივად განხორციელდება აღნიშნული ბაღის შესაბამისი მატერიალური რესურსებით აღჭურვა.
გაერთიანების დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, აკაკი ჯამბაზიშვილმა განმარტა, რომ ავეჯთან დაკავშირებითაც დაგეგმილია კონსოლიდირებული ტენდერით შესყიდვის განხორციელება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო** - 15:33
**დასრულების დრო** -15:41

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანების (№19 საბავშვო ბაღი (სურამი, ჩუმათელეთის დასახლება) ავტორიზაციის და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-6 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანებას (№19 საბავშვო ბაღი (სურამი, ჩუმათელეთის დასახლება) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით.
საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2026 წლის 23 ივნისიდან.

საბჭომ ავტორიზაციის მე-2, მე-3 და მე-4 სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 23 ივნისისა.
ასევე, დამატებით, არაუგვიანეს 2026 წლის პირველი სექტემბრისა, ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანებას (№19 საბავშვო ბაღი (სურამი, ჩუმათელეთის დასახლება) განესაზღვრა რეკომენდაცია, საჯარო რეესტრის განახლებული ამონაწერის სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენის თაობაზე.

საბჭომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად აღნიშნა მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით შეფასების ცვლილება და მეოთხე სტანდარტის შეფასება ნაცვლად ,,არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან" შეიცვალა შეფასებით ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", ასევე 4.3 კომპონენტის შეფასება ნაცვლად ,,არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან" შეიცვალა შეფასებით ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

**მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანების**
**(№10 სოფელ ცხრამუხის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა:**

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მიმოზა ღოლიჯაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანებაში შემავალ №10 სოფელ ცხრამუხის საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის პირველ და 2 მაისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმი: ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში" მეთოდური სახელმღვანელო 2 დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისათვის. ექსპერტმა

ყურადღება გაამახვილა, ბავშვთა ზღვრული რაოდენობის საკითხზე და აღნიშნა, რომ ვიზიტის დასაწყისშივე, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლის მხრიდან აღნიშნა ტექნიკური ხერვეზის არსებობა და თვითშეფასებაში ბავშვთა ზღვრული რაოდენობა ნაცვლად 60-სა, მითითებული უნდა იყოს 100, აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 100 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, მიმოზა ღოლიჯაშვილმა, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", მეორე და მესამე სტანდარტები შეფასდა, როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან". აქვე, ექსპერტმა აღნიშნა მეოთხე სტანდარტის 4.3 კომპონენტთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხის საბჭოს სხდომაზე დამატებითი განხილვის და დაზუსტების საჭიროების შესახებ.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებული შეუსაბამობებით.
ექსპერტმა, მიმოზა ღოლიჯაშვილმა, დამატებით განმარტა მეოთხე სტანდართან დაკავშირებით, რომ დაწესებულებას აქვს წერილობითი მიმართვა საჯარო რეესტრში უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ამონაწერის განახლების მიზნით, აზომვით ნახაზებთან დაკავშირებული ტექნიკური ხარვეზის გამო არ არის განხორციელებული საჯარო რეესტრის ამონაწერის განახლება და შესაბამისი განახლებული დოკუმენტის წარმოდგენა. ამავე სტანდარტთან დაკავშირებული მეორე საკითხი ეხება სტანდარტის შესაბამისად ფანჯრებზე ნაქსოვი ბადის ბარიერის და ბადის ჩაჭრისთვის საჭირო მოწყობილობის მონტაჟის საკითხს.
გაერთიანების მმართველის მოვალეობის შემსრულებელმა, აკაკი ჯამბაზიშვილმა განმარტა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის განახლებასთან დაკავშირებით, ხარვეზის გამოსწორების მიზნით შესაბამისი ღონისძიებები მერიის მხრიდან უკვე დაწყებულია და უახლოეს პერიოდში მოხდება ხარვეზის აღმოფხვრა. რაც შეეხება სტანდარტით გათვალისწინებული ნაქსოვი ბადის ბარიერის და ბადის ჩაჭრისთვის საჭირო მოწყობილობის მონტაჟს, ერთი წლის ვადაში ეს ხარვეზიც გამოსწორდება. ასევე, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული ყველა საკითხი, შესაბამის ვადებში შესრულდება.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა ბავშვთა ზღვრული რაოდენობის და შესაბამის საგანმანთლებლო პერსონალის რაოდებობით.
გაერთიანების მმართველის მოვალეობის შემსრულებელმა, აკაკი ჯამბაზიშვილმა განმარტა, რომ ავტორიზაციის განაცხადში ტექნიკური ხარვეზით იყო ასახული ბავშვთა ზღვრული რაოდენობა და №10 სოფელ ცხრამუხის საბავშვო ბაღი გათვლილია 100 ბავშვზე და განაცხადში ასახული უნდა ყოფილიყო აღნიშნული რაოდენობა. რაც შეეხება აღმზრდელებს, მიმდინარე

ეტაპზე 100 ბავშვისთვის განზაღვრულ რაოდენობას არ შეესაბამება, მაგრამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ფარგლებში, საჭიროების შესაბამისად, მოხდება კანონმდებლობით გათვალისწინებული თანაფარდობის დაცვა.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა დაინტერესდა მატერიალური რესურსების საკითხით. ექსპერტმა, მიმოზა ღოლიჯაშვილმა, მატერუალურ რესურსებთან დაკავშირებით, დამატებით განმარტა, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების ფარგლებში, გათვალისწინებულია შესაბამისი მატერიალური რესურსები და ეტაპობრივად განხორციელდება აღნიშნული ბაღის შესაბამისი მატერიალური რესურსით აღჭურვა.
გაერთიანების მმართველის მოვალეობის შემსრულებელმა, აკაკი ჯამბაზიშვილმა განმარტა, რომ ავეჯთან დაკავშირებითაც დაგეგმილია კონსოლიდირებული ტენდერით შესყიდვის განხორციელება.

საბჭოს წევრი ნინო ლაბარტყავა დაინტერესდა ტრანზიციის საკითხით.
საბავშვო ბაღის დირექტორის, მარინა პანტელიდის განმარტებით, დაწესებულების პერსონალს აქვს სრული მზაობა ტრანზიციის საკითხებთან დაკავშირებით, დაგეგმილია მშობლების აქტიური ჩართულობით, როგორც სახლიდან ბაღში, ისე ბაღიდან სკოლაში ტრანზიციის პროცესის მხარდაჭერა, საბავშვო ბაღში საწყის ეტაპზე, მშობლების სააღმზრდელო პროცესებზე დასწრებით ბავშვების ადაპტაციის განხორციელება, ასევე სკოლასთან კომუნიკაციით, სკოლაში ვიზიტებით სასკოლო გარემოსთან შეგუების უზრუნველყოფა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

**დაწყების დრო** - 15:55
**დასრულების დრო** -16:00

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანების (№10 სოფელ ცხრამუხის საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 100-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5

პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-6 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანებას (№10 სოფელ ცხრამუხის საბავშვო ბაღი) 6 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100-ით.
საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2026 წლის 23 ივნისიდან.

საბჭომ ავტორიზაციის მე-2, მე-3 და მე-4 სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 23 ივნისისა.

ასევე, დამატებით, არაუგვიანეს 2026 წლის პირველი სექტემბრისა, ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანებას (№10 სოფელ ცხრამუხის საბავშვო ბაღი) განესაზღვრა რეკომენდაცია, საჯარო რეესტრის განახლებული ამონაწერის სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენის თაობაზე.

საბჭომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად აღნიშნა მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით შეფასების ცვლილება და მეოთხე სტანდარტის შეფასება ნაცვლად ,,არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან" შეიცვალა შეფასებით ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", ასევე 4.3 კომპონენტის შეფასება ნაცვლად ,,არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან" შეიცვალა შეფასებით ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

დამტკიცებული დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 16:02 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს წევრი/სხდომის მდივანი.

ლაბარტყავა ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და

განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლეჟავა ეკატერინე